საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ლ. ჯ. /სიითი №/

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: მ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.07.2021

საჩივრის რეგისტრაციის №047/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. რ.-ის /სიითი №/ და ადვოკატ შ. ც.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. რ. და ადვოკატ შ. ც.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 05 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ლ. ჯ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. რ.-ისა და ადვოკატ შ. ც.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ორგანიზაცია „საფარის“ მიერ გაცემული ორდერის ფარგლებში ადვოკატები ე. რ. და შ. ც. იცავდნენ ნ. გ.-ს ინტერესებს. ნ. გ.-თან კომუნიკაცია ადვოკატ ლ. ჯ.-ს 2020 წლის 25-27 ივლისს ჰქონდა მას შემდეგ, რაც ნ. გ.-მა თავად გაუგზავნა მეგობრობის თხოვნა

სოციალურ ქსელ „Facebook“-ში. მხარეთა შორის საუბარი იყო გაცნობითი ხასიათის და უამრავი შეურაცხმყოფელი სიტყვების შემდეგ ადვოკატმა ნ. გ. დაბლოკა და მასთან მიმოწერა წაშალა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. გ.-მა ყალბი მტკიცებულებებით მის წინააღმდეგ მიმართა როგორც საქართველოს სახალხო დამცველს, ისე სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, სადაც ედავებოდა საჩივრის ავტორს, თითქოსდა მისი მხრიდან განხორციელებულ სექსუალურ შევიწროვებაზე. განმცხადებლის პრეტენზიის გარკვევის მიზნით 2020 წლის 06 ნოემბერს საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ნ. გ.-ს, რის შემდეგაც შედგა სატელეფონო კომუნიკაციის აუდიო ჩანაწერი. მტკიცებულებების გაყალბების ფაქტზე 2020 წლის 10 და 15 ნოემბერს საჩივრის ავტორმა მიმართა პოლიციას და მოითხოვა გამოძიების დაწყება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ფალსიფიცირებული და გაყალბებული მტკიცებულებები ქმნიდა ვარაუდს, რომ ნ. გ. წარმოადგენდა „აგენტ პროვოკატორს“, ვინაიდან, ადვოკატი პირადად არ იცნობდა ნ. გ.-ს და მისი ადვოკატი არ ყოფილა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2020 წლის 02 დეკემბერს ნ. გ.-მა და მისმა უფლებადამცველებმა, ორგანიზაცია „საფარის“ ადვოკატმა ე. რ.-მ და ადვოკატმა შ. ც.-მა მის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინეს, კერძოდ, დიდუბე-ჩუღურეთის პირველი განყოფილების პირველ სამართველოში წარადგინეს ფალსიფიცირებული მიმოწერა, სადაც ნ. გ.-ს შეტყობინებები იყო წაშლილი და გარეშე პირისთვის აღიქმებოდა, როგორც ლ. ჯ.-ს მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური შევიწროება. ყალბი მიმოწერა გამოაშკარავებულ იქნა ქ.თბილისის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვით, რომელიც დაეფუძნა კომპიუტერულ ექსპერტიზას. ხოლო 2020 წლის 06 ნოემბრის სატელეფონო ზარი ადვოკატებმა ე. რ.-მ და შ. ც.-მა გაასაღეს, როგორც მუქარის შემცვლელი სატელეფონო ზარი. ადვოკატებმა დაამზადეს ყალბი მტკიცებულებები და წარადგინეს სასამართლოში.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. გ.-სთან ერთად ადვოკატმა ე. რ.-მ 2 ყალბი „Facebook“-ის ექაუნთი შექნა საჩივრის ავტორის სახელით და ამ ექაუნთების ერთადერთი აქტივობა ნ. გ.-ს მეგობრებში დამატების მოთხოვნა იყო.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატებმა ასევე გამოიყენეს წამების მსხვერპლთა სფიქო სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის „GSRT“-ის მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნის ყალბი ცნობა. გამოძიებით დადგინდა, რომ „GSRT““ თანამშრომელი, ფსიქოლოგი ქ. მ წარსულში საფარის თანამშრომელი იყო, რომელსაც სამედიცინო დასკვნის გაცემის უფლება არ ჰქონდა, რადგან არ წარმოადგენდა ფსიქოლოგს. ამავე ფსიქოლოგმა განაცხადა, რომ მას ცნობა სასამართლოში წარსადგენად არ დაუმზადებია და ცნობა გაცემული იყო მხოლოდ ნ. გ.-ს გამოკითხვის საფუძველზე.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა ე. რ.-მ და შ. ც.-მა 2020 წლის 25 და 28 ნოემბერს „Facebook“ პოსტების წარდგენით, მის მიმართ მოითხოვეს გამოძიების დაწყება ადევნებისა და მუქარის მუხლით, რაც არ დაკმაყოფილდა.

1.9 სხვადასხვა ტელევიზიის მეშვეობით ადვოკატმა ე. რ.-მ ცილისმწამებლური განცხადებები გაავრცელა და საჩივრის ავტორი კლიენტზე მოძალადე, სექსუალურად შემვიწროებელ ადვოკატად მოიხსენია, მტკიცებით ფორმაში.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატების ხელშეწყობით სახალხო დამცველს ძალადობის მსხვერპლის სახელით მიმართა 6-ჯერ ნასამართლევმა ნ. ხ, რომელიც ცდილობდა ყალბი მტკიცებებულებით საჩივრის ავტორის დისკრედიტაციას. 2021 წლის 16 და 19 იანვარს „ფორმულასა“ და „იმედის“ ტელეეთერებში ნ. ხ, სახის დაფარვით, საუბრობდა საჩივრის ავტორის მხრიდან სექსუალურ შევიწროვებაზე. საჩივრის ავტორმა სახალხო დამცველის აპარატში საჩივრით მიმართვის შემდეგ შეიტყო ამ პიროვნების რეალური ვინაობა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატების საჩივარი ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან არ დაკმაყოფილდა, ხოლო ადვოკატ ლ. ჯ.-ს საჩივარი ადვოკატ ე. რ.-ისა და ადვოკატ შ. ც.-ს მიმართ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან დაკმაყოფილებულ იქნა.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატებმა მოახდინეს მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, დაამზადეს და გამოიყენეს ყალბი მტკიცებულებები, მათ შორის სამედიცინო ცნობა, გაასაჯაროვეს დახურული სასამართლო პროცესები და ტელევიზიების მეშვეობით ცილისმწამებლური განცხადებები გაავრცელეს, რის გამოც საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

1.13 საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის 2021 წლის 16 ნოემბრისა და 24 ნოემბრის სხდომაზე დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები.

2. ადვოკატთა პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ე. რ.-მ 2021 წლის 23 სექტემბერს, ხოლო ადვოკატმა შ. ც.-მა 2021 წლის 16 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს წერილობითი ახსნა-განმარტება და მიუთითეს, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატი ე. რ., ორგანიზაცია „საფარის“ მიერ გაცემული ორდერის ფარგლებში, ადვოკატ შ. ც.-თან ერთად იცავს ძალადობის მსხვერპლი ქალების ნ. ხ.-ისა და ნ. გ.-ს ინტერესებს. საჩივრის ავტორი 2020 წლის 25-27 ივლისის ფაქტებს აღწერს დამახინჯებულად, რათა მიზანმიმართულად შეცდომაში შეიყვანოს ეთიკის კომისიის წევრები. საჩივარში აღწერილი ფაქტები დეტალურადაა მოცემული საქართველოს სახალხო დამცველის 2002 წლის 02 თებერვლის რეკომენდაციაში სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ N13-1/1014. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა ნ. გ.-ს დაცვის მიზნით გამოცემული შემაკავებელი ორდერი ლ. ჯ.--ს მიმართ, სადაც ასევე დეტალურადაა აღწერილი ლ. ჯ.ს მხრიდან მომდინარე ძალადობრივი და არაეთიკური ქცევები.

2.3 ადვოკატები უარყოფენ თავიანთი ან ნ. გ.-ს მხრიდან დოკუმენტაციის გაყალბების ფაქტს და აცხადებენ, რომ აღნიშნული წარმოადგენს საჩივრის ავტორის ცრუ ბრალდებას. ადვოკატ ე. რ.-ის განცხადებით, ასევე სიცრუეს წარმოადგენს ყალბი „Facebook“ ექაუნთების შექმნა, ვინაიდან, აღნიშნული ექაუნთები წლებია არსებობს და 2020 წელს არ შექმნილა.

2.4 2021 წლის 05 იანვრის, ასევე 16 და 19 იანვარს სატელევიზიო სიუჟეტებში ადვოკატ ე. რ.-ის მიერ გაკეთებული კომენტარი მოიცავდა ინფორმაციას მის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის განცხადებით მიმართვის შესახებ. ასევე ადვოკატის

მიერ გაჟღერებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება. სიუჟეტში კომენტარის გაკეთების უფლება მიეცა ადვოკატ ლ. ჯ.-საც, რაც მან გამოიყენა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ნ. ჯ.-მ თავად მომართა დახმარების თხოვნით ორგანიზაცია „საფარს“ და თავად გადაეწყვიტა გაესაჯაროვებინა ლ. ჯ.-ს მხრიდან მომდინარე არაეთიკური ქცევები. მან გაასაჯაროვა ის ინფორმაცია, რაც დადგინდა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ასევე ცრუობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. ადვოკატი ე. რ. პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორს არ უცნია სამართალდამრღვევად და არ დაუკმაყოფილებია ლ. ჯ.-ს საჩივარი.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ მედიაში მიცემული ინტერვიუები და მსხვერპლის დაცვის მიზნით განხორციელებული კანონიერი ქმედებები ვერ შეფასდება პროფესიული ეთიკის დარღვევად, რადგან მოქმედებდა პროფესიული ეთიკის ფარგლებში დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების შესაბამისად.

2.8 2022 წლის 19 მაისის სხდომაზე ადვოკატმა ე. რ.-მ დამატებით განმარტა, რომ მისი განცხადებები მიმართული იყო ძალიან მნიშვნელოვანი სიკეთის დასაცავად და მისი გამოხატვის ფორმა ვერ გამოიწვევდა იმ შედეგს, რასაც ადვოკატი ლ. ჯ. უთითებს. ადვოკატის მოსაზრებით, ადვოკატ ლ. ჯ.-ს მისი საქციელით ფსიქოლოგიური ტანჯვა არ განუცდია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ე. რ. /სიითი №/ და ადვოკატი შ. ც. /სიითი №/ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრები, საერთო სპეციალიზაციით.

3.2 ადვოკატმა ლ. ჯ.-მა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 05 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020-2021 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგია მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. რ.-ისა და ადვოკატ შ. ც.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ე. რ.-მ ტელევიზიების მეშვეობით ცილისმწამებლური განცხადებები გაავრცელა და ადვოკატი ლ. ჯ. კლიენტზე მოძალადე,

სექსუალურად შემვიწროებელ ადვოკატად მოიხსენია მტკიცებით ფორმაში, რითაც მოიქცა არაკოლეგიალურად და შელახა საჩივრის ავტორის პროფესიული ღირსება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. რ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

5.3 ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. თუ კოლეგის ღირსების შელახვის აკრძალვა ნეგატიურია, პატივისცემის ვალდებულება პოზიტიურია, რაც დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ადვოკატს, კერძოდ, კოლეგებთან კომუნიკაციაში და მოქმედებებში, უნდა სჩანდეს ურთიერთპატივისცემა, ხოლო ნებისმიერი საპროცესო დაპირისპირება, თუნდაც კოლეგის პოზიციის მკაცრი კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემას ეჭვქვეშ დააყენებს ან შელახავს კოლეგის ღირსებას. პატივისცემის ვალდებულებაში პიროვნული შემადგენელი მეორეხარისხოვანია და ის გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის დაცვის და გამყარების აუცილებლობიდან, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესიდან გამომდინარეობს (ეთიკის კომისიის 01.11.18 წლის გადაწყვეტილება, საქმე N086/18).

5.4 ამასთან ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრონციპთან ან სასამართლოს მიმართ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

5.5 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება“, ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.6 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

5.7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.8 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეში №2317/12/06 აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

5.9 ამ ეტაპზე საპროცესო კოლეგიის მიერ დასადგენია, ფაქტების დამტკიცების შემთხვევაში, დაარღვია თუ არა ადვოკატმა ე. რ.-მ კოლეგიურობის პრინციპი ადვოკატ ლ. ჯ.-ს მიმართ, კერძოდ თავის განცხადებებით შელახა თუ არა მისი, როგორც ადვოკატის ღირსება და გამოიჩინა თუ არა მის მიმართ უპატივცემლობა.

5.10 ადვოკატმა ე. რ.-მ, კლიენტის ინტერესის დაცვის მიზნით, კლიენტის თანხმობით, გაასაჯაროვა კონკრეტული ინფორმაცია. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. რ.-ის მიერ გადაცემებში გაჟღერებული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან ადვოკატის პოზიცია გამომდინარეობდა მისი კლიენტის ინტერესებიდან. ადვოკატი მოსაზრების წარმოდგენით არ ისახავდა უპირატეს მიზნად საჩივრის ავტორის, როგორც ადვოკატის, პროფესიული ღირსების შელახვას. ადვოკატ ე. რ.-ის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის ინტერესის დაცვა და ისაუბრა საქმის ირგვლივ, ფაქტების შესახებ. კლიენტის პოზიცია არ შეიძლება გაიგივდეს ადვოკატის პოზიციასთან. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ე. რ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა კოლეგიალობის დარღვევის მოთხოვნით.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ე. რ.-მ და ადვოკატმა შ. ც.-მა სასამართლოს წარუდგინეს ფალსიფიცირებული მიმოწერა, დაამზადეს და გამოიყენეს ყალბი მტკიცებულებები, მათ შორის სამედიცინო ცნობა; ადვოკატებმა მისი სახელით შექმნეს ყალბი „Facebook“-ის ანგარიშები.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. რ.-ისა და ადვოკატ შ. ც-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.3).

5.13 ეთიკის კომისიამ 2013 წლის 06 ივნისის რეკომენდაციაში N005/13 ფართოდ განმარტა აპეკ-ის მე-9.3 მუხლით დადგენილი პროფესიული ქცევა და მიუთითა, რომ ადვოკატის პროფესიული

ვალდებულებაა სასამართლოს წინასწარი შეცნობით არ წარუდგინოს არა მხოლოდ ყალბი მტკიცებულება, არამედ კლიენტის წარმომადგენლობისას ადვოკატმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ისეთ ფაქტზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება და ამის თაობაზე ადვოკატისათვის ცნობილია. "ადვოკატების ეს ვალდებულება მეტ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმისწარმოებისას სასამართლოებში გავრცელებული პრაქტიკით, ადვოკატები მხარეთა ნაცვლად წარადგენენ ახსნა-განმარტებას მინდობილობის საფუძველზე. მხარის ახსნა-განმარტებას კანონი კი მტკიცებულებით ძალას ანიჭებს (სსსკ 102.2 მუხლი)… კომისიის კომპეტენციაში შედის ადვოკატის პროფესიული ქცევის შემოწმება და დადგენა, ხომ არ აწვდის ის სასამართლოს განზრახ არასწორ ინფორმაციას, კომისია მოკლებულია უფლებამოსილებას შეაფასოს ადვოკატის მიერ კლიენტისთვის გაწეული მომსახურება შერჩეული სამართლებრივი სტრატეგიის, გაკეთებული განცხადების, შედგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივი დასაბუთების ხარისხი. ადვოკატი დამოუკიდებელი პროფესიული განსჯის შედეგად თავად განსაზღვრავს მისი კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონმდებლობისა და ეთიკური ქცევის ფარგლებში რა სტრატეგიას შეარჩევს და რა არგუმენტაციას განავითარებს. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება." (ეთიკის კომისიის 08.04.2014 გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 006/18, პარ. 5.3).

5.14 მოპასუხე ადვოკატები, ე. რ. და შ. ც. უარყოფენ ყალბი მტკიცებულების შექმნისა და სასამართლოში წარდგენის ფაქტს.

5.15 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე", ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები". საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.16 საპროცესო კოლეგია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს." ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს - ადვოკატ ლ. ჯ.-ს.

5.17 საჩივრის ავტორს მის პრეტენზიასთან დაკავშირებით, კომისიისათვის არ მოუწოდებია მტკიცებულება, რაც ადვოკატ ე. რ.-ისა და ადვოკატ შ. ც.-ს მიერ ყალბი მტკიცებულების შექმნას დაადასტურებდა. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატებს არ დაუღვევიათ ეთიკის კოდექსის 9.3 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული სტანდარტი.

5.18 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №047/21 ადვოკატ ადვოკატ ე. რ.-ისა /სიითი №/ და ადვოკატ შ. ც.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/